მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 10 დეკემბრის

N62-62213442 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს, 2022 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 557000 ლარს.

საკუთარი შემოსავალი - 23000 ლ.

სულ - 580000 ლ.

საშტატო ერთეული 58.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით, წინააღმდეგი-1 ემზარ შუბლაძე), დამტკიცდა განკარგულება, შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ.

დღის წესრიგის XXV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა" _ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. "სახლი თანადგომა" _ს, 2022 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 206400 ლარს.

საშტატო ერთეული - 24.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით, წინააღმდეგი-1 ემზარ შუბლაძე), დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა" _ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის

დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის XXVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“_ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 10 დეკემბრის N62-62213442 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“_ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“_ს, 2022 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 160000 ლარს.

საკუთარი შემოსავალი - 45410 ლ.

სულ - 205410 ლ.

საშტატო ერთეული - 22 .

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით, წინააღმდეგი-1 ემზარ შუბლაძე), დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“_ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარემ, ემზარ შუბლაძემ გააკეთა განცხადება - „ვინაიდან ა.(ა).ი.პ.-ებსა და შ.პ.ს.-ებში ძირითადად 10%-იანი სახელფასო მატება განხორციელდა მაშინ, როცა ადმინისტრაციის ხელფასი იზრდება, ჩვენ ბიუჯეტის დამტკიცებაში მონაწილეობას არ მივიღებთ და პროტესტის ნიშნად დავტოვებთ საკრებულოს სხდომას“.

დავით ბახტაძემ უპასუხა - თქვენი ნებაა სხდომას დაესწრებით თუ არა, მაგრამ მინდა განმარტება გავაკეთო. აქ საუბარი არის მხოლოდ სახელფასო ფონდის 10-15%-იანი მატებაზე. ახალ ბიუჯეტში 4,5 მილიონი ლარით სხვაობაა წინა ბიუჯეტთან შედარებით, თანხა იზრდება ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის, დაახლოებით 1700000 ლარით მეტი დაიგეგმა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. ასე, რომ ახალი ბიუჯეტი საშუალებას იძლევა ახალი დიდი საქმეების კეთების.

დღის წესრიგის XXVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.**

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 10 დეკემბრის N62-62213442 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია 18 757 800 ლარი.

აქედან საკუთარი შემოსავალი - 17098600 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 1659200 ლარი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურია.

ნუგზარ ჯამბურია - ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რითაც იწყება ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმა სვლა. არა მარტო სოციალ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, არამედ მუნიციპალიტეტის განვითარების ახალი ხედვის გეგმების შესაბამისად ზდება ბიუჯეტის დაგეგმვა და განვითარება. ძალიან მინდა ეს სიტყვები ახდეს, ამას დრო ჭირდება. მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა, გამოცდილება ადამიანური რესურსი და ყველაფერს მივაღწევთ. მე თქვენი იმედი მაქვს, ჩვენ ერთმანეთის იმედი გვაქვს, ურთიერთ თანადგომით დიდი საქმეების გაკეთება შეიძლება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით,) დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

/დადგენილება თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, გამოცხადდა შესვენება 20 წუთი.

სხდომა განახლდა 15:15 საათზე. საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია. სხდომას ესწრება საკრებულოს 25 წევრი.

სხდომას მიმართა საკრებულოს მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ. მინდა მოგახსენოთ, რომ მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების სრულყოფას. შესაბამისად იგეგმება მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.
- მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება.
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, საბავშვო ბაღების გახსნა სოფლებში.
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.
- სოციალური პროგრამების დაფინანსება.

მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით, მათი მოთხოვნით იგეგმება მსგავსი პროექტები, ამასთანავე ჩვენი შეხედულებით, რა გავლენას მოახდენს შემდგომი განვითარებისთვის, როგორც მუნიციპალიტეტის ასევე კონკრეტული იმ დასახლებისთვის. შესაბამისად გზების ნაწილში საკმაოდ მასშტაბური სამუშაოები შესრულდა ამ ხნის მანძილზე. ეს მასშტაბი კი არ მცირდება არამედ იზრდება. პრიორიტეტების შემუშავების საკითხში გამჭვირვალება, როგორც მერია ისე საკრებულო. ეს ხელმისაწვდომია არა მარტო საკრებულოს წევრებისათვის არამედ ნებისმიერი

მოქალაქისათვის. თავის დროზე დავიწყეთ მაგისტრალური ქუჩების მოწესრიგებით, შემდგომ ჩიხები და შესახვევები მოწესრიგდა. ასევე აქტუალურია სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ბევრი პროექტია არხების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ეს გლობალური საკითხია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. ამ პრობლემის მოგვარების საქმეში ჩართულია ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა შტო. მაგრამ წერტილოვანი გაწმენდითი სამუშაოები, და იმ ადგილზე მოწესრიგებით ვერ განიტვირთება და დატბორვის საშიშროებას ვერ ავაცილებთ მოსახლეობას. ჩვენი შესაბამისი სამსახური მუშაობს არხთა სისტემასთან თანხვედრაში, გიფსომეტრიული პარამეტრების გათვალისწინებით, აქ ცოტა განსხვავებული მიდგომაა საჭირო. მელიორაციის სამმართველოს დახმარებით ამ ეტაპზე ჭურთავასა და ლოღობაზე სამუშაოები მიმდინარეობს. ილორის არხის მოწესრიგება და რეაბილიტაცია დიდ საფრთხეს აგვარიდებს, მაგრამ ეს ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ჩვენი ბიუჯეტი განაპირობებს განვითარების თუ რა დონეს მიაღწევს მუნიციპალიტეტი, თუ რა გამოწვევებს ვუპასუხებთ, მერიისა და საკრებულოს ურთიერთობები ყოველთვის იყო სანიმუშო და ასე გაგრძელდება მომდევნო წლების განმავლობაში.

ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ჩართვა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობები გამოყენებულია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებებში. არსებული სპორტული ობიექტები მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მეზობელი დასახლებების მაცხოვრებლების მიერ გამოყენებულია ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტული მიღწევებისათვის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხედვის რეალობად გადასაქცევად 2022 წელში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია შექმნის სხვადასხვა თაობის ადამიანებზე ორიენტირებულ მუნიციპალიტეტს ძლიერ გუნდს, რომელიც ხარისხიან, საზოგადოებრივ მომსახურებას მიაწოდებს მოქალაქეებს. საჭიროა განხორციელდეს რეფორმები, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს

მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას. ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე

ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და

შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე. ამ ყოველივეს განხორციელებაში დიდია საკრებულოს და მერიის როლი. იმედით მაქვს ერთად ყველაფერს გადავლახავთ და შვებობთ. გილოცავთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წის ბიუჯეტის დამტკიცებას და გისრუვებთ წარმატებებს.

დღის წესრიგის XXVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **ტარიელ ცომიაამ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა №51-ის მიმდებარედ არსებული 193.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.59.282), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 10000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.457), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 182.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.213), ქალაქ სამტრედიიაში, თამარ მეფის ქუჩა №25-ის მიმდებარედ არსებული 50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.448) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 198169.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.41.345) **საპრივატიზაციო** ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 29 ნოემბრის

N 62-6221333136 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, **საპრივატიზაციო ობიექტებად** განსაზღვრისა და დამტკიცების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად 1. ქალაქ სამტრედიიაში, კოსტავას ქუჩა

№51-ის მიმდებარედ არსებული **193.00 კვ.მ.** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.59.282) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.
- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 6000.00 (ექვსიათასი) ლარი.
- ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 4 000.00 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. . სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **ბაშში მდებარე 10000.00 კვ.მ.** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.457) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.
- საწყის საპრივატიზებო საფასურად **განისაზღვროს 5500.00 (ხუთი ათას ხუთასი)** ლარი.
- ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 3000.00 (სამიათასი) ლარის ოდენობით.
- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3. ქალაქ სამტრედიიაში, კოსტავას ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული **182.00 კვ.მ** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.213) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.
- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 5500.00 (ხუთიათასხუთასი) ლარი.
- ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 3000.00 (სამიათასი) ლარის ოდენობით.
- დატვირთულია სერვიტუტით.
- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

4. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩა №25-ის მიმდებარედ არსებული 50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.448) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.
- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 1500.00 (ათას ხუთასი) ლარი.
- ბიჯი განისაზღვროს 200.00 (ორასი) ლარის ოდენობით.
- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 1000.00 (ათასი) ლარის ოდენობით.
- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 198 169.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.41.345) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.
- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 110 000.00 (ასათი ათასი) ლარი.
- ბიჯი განისაზღვროს 10 000.00 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.
- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 50 000.00 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.
- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა №51-ის მიმდებარედ არსებული 193.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.59.282), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 10000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.457), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 182.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.213), ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩა №25-ის მიმდებარედ არსებული 50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.448) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 198169.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.41.345) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

დღის წესრიგის XXIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **ტარიელ ცომაიამ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 13075.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.44.648) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 29 ნოემბრის

N 62-6221333136 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 13075.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის, მერისათვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 13075.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.44.648).

- ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 360 (სამასსამოცი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 40 (ორმოცი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 200 (ორასი) ლარი.

- იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

- იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 13075.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.44.648) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ“.

დღის წესრიგის XXX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **ტარიელ ცომაიამ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 6000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.009) - პარკის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი - 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 29 ნოემბრის N 62-6221333136 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, „**სამტრედიის მუნიციპალიტეტის**

გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებისათვის'' უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 6000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემისათვის, მერისათვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, **„სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი - 438728708) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცეს ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 6000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.009) - პარკი.

- პარკის, უზურფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 6000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.009) - პარკის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი - 438728708) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”.

დღის წესრიგის XXXI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **ტარიელ ცომიაამ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში განსახორციელებელი 20 პროექტის მოწონების შესახებ”.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 29 ნოემბრის

N 62-6221333133 და ასევე 2021 წლის 14 დეკემბრის 62-622134836 წერილობითი მომართვები რომლებიც ეხება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში განსახორციელებელი 20 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში განსახორციელებელი 20 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში

განსახორციელებელი 20 პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)	
		სულ მ.შ.თანადაფი ნანსება	
	1	2	3
1	ქ. სამტრედიაში, რიონის ქუჩაზე საყანე ფართობებში გადასასვლელი ხიდის მოწყობა.	110000	55000
2	სოფ. ზემო ნოლაში ცენტრალური გზის გაგრძელებაზე სოფლის კლუბიდან სოფ. გამოჩინებულის საზღვრამდე ბეტონის საფარის დაგება.	424001	21201
3	სოფ. ზემო ნოლაში მდ. ხევისწყალაზე არსებულ ხიდზე გზის საფარის მოეწყობა.	68863	3444
4	სოფ. დიდი ჯიხაიში N37 ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა.	118400	5920
5	სოფ. დიდი ჯიხაიში N38 ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა.	177600	8880
6	ქ. სამტრედიაში ვაჩნაძის ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის დაგება.	157412	7871
7	ქ.სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქ. N3 ბინისა და დაბა კულაში რუსთაველის ქ. N40 ბინის ეზოებში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება.	59726	2987
8	ქ. სამტრედიაში, გამსახურდიას N3 ბინის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.	115784	5790
9	ქ. სამტრედიაში, თავისუფლებისა და ძმები კრავეიშვილების ქუჩების კვეთაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია.	91291	4565
10	ქ. სამტრედიაში, გალაქტიონის ქუჩაზე კალათბურთის მოედნის მოწყობა.	100000	5000
11	ქ. სამტრედიაში, ტულუშის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა.	97219	4861
12	ქ. სამტრედიაში, ნიკოლეიშვილისა და 9 მაისის კვეთაზე მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სკვერის მოწყობა.	96764	4839
13	ქ. სამტრედიაში, კონსტიტუციის და კოსტავას ქუჩების მიმდებარე სკვერისა და სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ეწრის ადმ. ერთეულში სოფ. ოჭოფაში ე.წ. „წყაროსთავზე“ სკვერის კეთილმოწყობა.	153643	7683
14	გომიოს ადმ. ერთეულში ე.წ. უსახელო ღელეს ხეობაში ორ ლოკაციაზე გაბიონის მოწყობა.	396490	19825
15	სოფ. გომში წმ. გიორგის ეკლესიასთან და სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე მეწყერ საწინააღმდეგო ღონისძიებების სამშენებლო სამუშაოები.	163924	8197
16	ტოლების ადმ. ერთეულში სოფ. ქვემო ნოლაში ბოცვაძეების უბანში მდ. ხევისწყალაზე გაბიონის მოწყობა.	159090	7955
	ქ. სამტრედიაში, ნიკოლაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. სამტრედიაში, კაკაბაძის N34; აღმაშენებლის N314 და დუნდუას N2 ქუჩაზე სანიაღვრე		

17	არხის მოწყობა; ქ. სამტრედიაში N10 საჯარო სკოლის მიმდებარედ საწრეტი არხის რეაბილიტაცია; სოფ. ბაშში წყალსაწრეტი არხის გამაგრების სამუშაოები; ქ. სამტრედიაში პეტრე იბერიის ქუჩაზე წყალსაწრეტი არხის და ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები; ქ. სამტრედიაში წერეთლის N1 და N2 ჩიხებში წყალსაწრეტი არხის რეაბილიტაცია.	204062	10204
18	N8 საჯარო სკოლასთან არსებულ მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმ. შენობის შესასვლელი კიბისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სოფ. ღანირის ცენტრში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია.	59781	2990
19	სოფ. გამორინებულში, „აბანოთუბანში“ მინი სტადიონის დასავლეთ მხარეს დამცავი კედლის მოწყობა; გორმალაღის ადმ. ერთეულში მდ. ხევისწყალაზე არსებულ საავტომობილო ხიდის სავალ ნაწილის რეაბილიტაცია; ქ. სამტრედიაში თელიას ქუჩაზე და ადმ. შენობის სამხრეთ მხარეს არსებული დაზიანებული ცხაურების შეცვლა.	90061	4504
20	სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, მეგობრობის N1; N3; N4; N4ა; N5; N6; N7; N8 ჩიხებში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	105381	5270

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში განსახორციელებელი 20 პროექტის მოწონების შესახებ“.

დღის წესრიგის XXXII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **მანანა სირბილაძემ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133714 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო, **დავით ნიკოლეიშვილის**, 2021 წლის 14 დეკემბრის **N:19/63213485-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიაში მუშაობას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომლის თანახმად, შეტანილ იქნას ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133714 განკარგულებაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. მანანა სირბილაძე - თავმჯდომარე.
2. ლიზა კრავეიშვილი.
3. მერაბ ულრელიძე.
4. პაატა კოხრეიძე.
5. მაია ტალაბაძე.

6. დავით ნიკოლეიშვილი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანი უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133714 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

დღის წესრიგის XXXIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **მანანა სირბილაძემ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133715 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო, საკრებულოს წევრის, **ზაზა ადვიშვილის**, 2021 წლის 13 დეკემბრის **N:19/63213472-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, გამოვიდეს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან. ასევე გააცნო საკრებულოს წევრის, **გივი ჯულაყიძის**, 2021 წლის 9 დეკემბრის **N:19/63213431-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიაში მუშაობას.

წერილობითი განაცხადი გააკეთა ფრაქცია „**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**“-მ. მომართვის თანახმად წარმოდგენილია საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიაში მუშაობის მსურველთა სია. კერძოდ, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიაში წევრად წარმოდგენილია ემზარ შუბლაძის, აკაკი მინაშვილის, ქეთევან კუტალაძის კანდიდატურები.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომლის თანახმად, შეტანილ იქნას ცვლილება „**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის

N გ-63.632133715 განკარგულებაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის** პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. მერაბ ულრელიძე - თავმჯდომარე.
2. ბექა თევზაძე.
3. ჯონი ახობაძე.

4. ტარიელ ცომაია.
5. დავით ჯანელიძე.
6. ირაკლი მელაშვილი.
7. გონა არველაძე.

8. ემზარ შუბლაძე.

9. აკაკი მინაშვილი.

10. ქეთევან კუტალაძე.

11. გივი ჯულაყიძე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133715 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

დღის წესრიგის XXXIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **მანანა სირბილაძემ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133716 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **გივი ჯულაყიძის**, 2021 წლის 9 დეკემბრის **N:19/63213432-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიაში მუშაობას.

ასევე ფრაქცია „**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**“-ს, 2021 წლის 13 დეკემბრის **N:19/63213474-63** წერილობითი მომართვა. მომართვის თანახმად წარმოდგენილია საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიაში მუშაობის მსურველთა კანდიდატურები - ემზარ შუბლაძე, ავთანდილ თაღუმაძე და ქეთევან კუტალაძე.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომლის თანახმად, შეტანილ იქნას ცვლილება „**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის Nგ-63.632133716 განკარგულებაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის** პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. ტარიელ ცომაია - თავმჯდომარე.
2. დავით ჯანელიძე.
3. ჯონი ახობაძე.
4. გიორგი გაგუა.

5. მანანა სირბილაძე.

6. პაატა კოხრეიძე.

7. ემზარ შუბლაძე.

8. ავთანდილ თადუმაძე.

9. ქეთევან კუტალაძე.

10. გივი ჯულაყიძე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133716 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

დღის წესრიგის XXXV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **მანანა სირბილაძემ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო:

1) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **კობა ძიძიგურის**, 2021 წლის 14 დეკემბრის **19/63213484-63** განცხადება რომლითაც ითხოვს, საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მუშაობას.

2) ფრაქცია „**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**“-ს 2021 წლის 13 დეკემბრის

N:19/63213474-63 წერილობითი მომართვა. მომართვის თანახმად წარმოდგენილია საკრებულოს კომისიებში მუშაობის მსურველთა სია. კერძოდ, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში წარმოდგენილია - **ლაშა გრიგოლის** კანდიდატურა.

3) საკრებულოს წევრის **ზაზა ადგიშვილის** 2021 წლის 13 დეკემბრის **N:19/63213472-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, გამოვიდეს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან და მუშაობა გააგრძელოს საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში.

შეტანილ იქნას ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში.

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. გიორგი ლეჟავა - თავმჯდომარე.

2. ტარიელ დვალიშვილი.

3. ლელა ჩორგოლაშვილი.

4. ილია მჟავია.

5. კობა ძიძიგური.

6. ლაშა გრიგოლია.

7. ზაზა ადგიშვილი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

დღის წესრიგის XXXVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **მანანა სირბილაძემ**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133718 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს, 2021 წლის 13 დეკემბრის **N:19/63213474-63** წერილობითი მომართვა. მომართვის თანახმად წარმოდგენილია **განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაში მუშაობის მსურველთა კანდიდატურები** - მარიამ ბარბაქაძე და აკაკი მინაშვილი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომლის თანახმად, შეტანილ იქნას ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133718 განკარგულებაში.

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. ირაკლი მელაშვილი - თავმჯდომარე.

2. ტარიელ დვალიშვილი.

3. გიორგი ლეჟავა.

4. ლელა ჩორგოლაშვილი.

5. გოჩა არველაძე.
6. ჯონი თევზაძე.
7. ილია მჟავია.
8. გრიგოლ ჩიგოგიძე.
9. მაია ტალაბაძე.
10. ბადრი შენგელია.
11. ბექა თევზაძე.

12. მარიამ ბარბაქაძე.

13. აკაკი მინაშვილი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133718 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

დღის წესრიგის XXXVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **მანანა სირბილაძემ**, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა გააცნო, მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 14 დეკემბრის 62-622134837 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების შედეგად, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს კანონის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გაზრდილი ოდენობით. კერძოდ,

მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირები			
	მერი	5062	1
	მერის პირველი მოადგილე	3850	1
	მერის მოადგილე	3520	1

პოლიტიკურ თანამდებობის პირთა რაოდენობა			3
მერიის სტრუქტურული ერთეულების პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის რანგის მიხედვით;			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი	2530	
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1980	
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ერთიანი საქმისწარმოების საკითხებში	1320	
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1210	

მეოთხე რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში	990	
--------------	---	-----	--

მეოთხე რანგი	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში	935	
--------------	---	-----	--

ასევე წარმოდგენილია ხელშეკრულებით აყვანილ პირთა სახელფასო განაკვეთი რანგის შესაბამისად.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, წინააღმდეგი-1 ლიზა კრავიშვილი), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XXXVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **მანანა სირბილაძემ**, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ”.

საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო

საკითხთა კომისიის ინიციატივა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა განისაზღვროს დანართი N1 და N2-ის შესაბამისად.

დანართი N1

საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები			
	საკრებულოს თავმჯდომარე	4510	1
	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3410	1
	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2970	2
	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2420	5
	ფრაქციის თავმჯდომარე	2200	2
	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1760	9
პოლიტიკურ თანამდებობის პირთა რაოდენობა		20	
საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების პროფესიული საჯარო მოხელეები.			
საკრებულოს აპარატი.			
I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი	2200	
III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	1320	
III რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	1210	

დანართი N2

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა.

N	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა	სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	900
2	მძღოლი	1300
3	დამლაგებელი	500
	სულ;	

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XXXIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **ირაკლი მელაშვილმა**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „**სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N1 და N2 ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ**“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მე-4 მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, განიხილა **სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N1 და N2 ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების** საკითხი, ძირფესვიანად არის შესწავლილი წარმოდგენილი განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია, მოამზადა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N1 და N2 ქუჩებს შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) ნიკო ნიკოლაძის სახელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N1 და N2 ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

დღის წესრიგის XXXX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **ირაკლი მელაშვილმა**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი **სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N15 ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და ვლადიმერ ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ**.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტიც ასევე შესწავლილია მე-4 მოწვევის საკრებულოს მიერ. აღნიშნულ საკითხებზე მიღებულია სამთავრობო კომისიის თანხმობა, რაც საშუალებას აძლევს საკრებულოს მიიღოს შესაბამისი განკარგულება.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N15 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) ვლადიმერ ჩხეიძის სახელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, N15 ქუჩისათვის

სახელის შეცვლისა და ვლადიმერ ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ.

დღის წესრიგის XXXXI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, **ირაკლი მელაშვილმა**, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლისათვის, ტარიელ ჩაჩუას სახელის მინიჭებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არსებულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე საკრებულო უფლებამოსილია განაცხადოს თანხმობა, სკოლისათვის სახელის მინიჭების თაობაზე.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თანახმაა მიენიჭოს სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლას, ტარიელ ჩაჩუას, სახელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლისათვის, ტარიელ ჩაჩუას სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ“.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

